ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №09/1611

ქ.თბილისი ,17 ნოემბერი 2016წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **ს.ს.ი.პ. თავდაცვის ინსიტუციური აღმშენებლობის სკოლა**(შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი **დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თეა ნიკოლაშვილის სახით** და მეორეს მხრივ, **შპსკომპანია GEOSM**(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი **დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით**, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საბუღალტრო პროგრამის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მეორე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტების დასახელება და რაოდენობა მოცემულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელსეკრულების განუყოფელს ნაწილს.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტისღირებულება შეადგენს:**1919,13**(ერთი ათას ცხრაასცხრამეტი ლარი და 13 თეთრი) ლარს,მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული პირობების თანახმად) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეული ღირებულება მითითებულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელსეკრულების განუყოფელს ნაწილს.

2. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს, დანართი №1 დანართში მითითებული საქონლის მოწოდებასარაუგვიანეს მიმდინარე წლის22 ნოემბრისა.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი/ჭონქაძეს 20.

3. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. **ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი**

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაციასვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისშესრულებაზე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მას დაუწესოს დამატებით ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთვის.

7.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

7.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.1 (ნოლი მთელი და ერთი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

7.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირიტადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

8.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების10%-ისა.

9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის31დეკემბრის ჩათლით.

11. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

11.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სხვა პირობები

12.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

ს.ს.ი.პ. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა
მის: ქ. თბილისი, ჭონქაძეს ქ. №20
საიდენტიფიკაციო კოდი:ს/კ 205329697
Dibs@mod.gov.ge

შპს კომპანია GEOSM
მის: ქ. თბილისი; მ. ასათიანის #14;
საიდენტიფიკაციო კოდი:404873614
ტელ:272 91 19 ; 214 91 19
ბანკი: ს/ს „პროკრედიტი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიში: ა/ა:№ GE45PC0223600100010827

თეა ნიკოლაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თეიმურაზ ახობაძე
დირექტორი

დანართი №1

№	შესასყიდისაქონელი	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეული ფასი	საერთო ფასი	CPV
1	DVDდისკი	30	ცალი	0,63	**18,90**	302343(
2	CD -RW დისკი	50	ცალი	1,58	**79,00**	302344(
3	ფლიფჩართისქაღალდი	5	შეკვრა	6,80	**34,00**	301976:
4	ფლიფჩართისდაფა 60*90	4	ცალი	126,17	**504,68**	301959:
5	ფაილი	7	შეკვრა	3,29	**23,03**	228521(
6	სტეპლერისტყვია 24/6	20	ყუთი	0,41	**8,20**	301244(
7	სტეპლერისტყვია №10	20	ყუთი	0,19	**3,80**	301244(
8	სტეპლერიდიდი 24/6	15	ცალი	3,28	**49,20**	301971(
9	სტეპლერიპატარა №10	15	ცალი	1,85	**27,75**	301971(
10	ანტისტეპლერი	15	ცალი	0,98	**14,70**	301973:
11	საწერიკალამი (ლურჯი)	150	ცალი	0,09	**13,50**	301921:
12	საწერიკალამი (შავი)	50	ცალი	0,09	**4,50**	301921:
13	საწერიკალამიტუშით	10	ცალი	2,55	**25,50**	301921:
14	ტექსტმარკერი	12	ცალი	0,59	**7,08**	301921:
15	ფანქარი HB	30	ცალი	0,17	**5,10**	301921:
16	კორექტორითხევადი	15	ცალი	1,03	**15,45**	301921(
17	*მარკერი (Permanent)*	15	ცალი	0,67	**10,05**	301921:
18	*მარკერი (დაფის)*	20	ცალი	0,65	**13,00**	301921:
19	ორგანაიზერი (კომლექტით)	15	ცალი	14,00	**210,00**	301931(
20	კალკულატორი 165*120	3	ცალი	15,21	**45,63**	301412(
21	ბაინდერი A4	25	ცალი	2,09	**52,25**	228510(
22	ბაინდერივიწრო A4	20	ცალი	2,09	**41,80**	228510(
23	ჩასანიშნიწებოვანიფერადიქაღალდი	30	შეკვრა	0,54	**16,20**	228163(
24	ჩასანიშნიარაწებოვანიფერადიქაღალდი	15	შეკვრა	3,64	**54,60**	301976:
25	გვერდისმოსანიშნიწებოვანიქაღალდი	15	შეკვრა	0,74	**11,10**	301997:
26	საკანცელარიოთარომეტალის სამგანყოფილებიანი	15	ცალი	12,84	**192,60**	301932(

27	საკანცელარიოსარჭი/კლიპსი (პატარა)	50	ცალი	0,08	**4,00**	301971
28	საკანცელარიოსარჭი/კლიპსი (საშუალო)	100	ცალი	0,11	**11,00**	301971
29	საკანცელარიოსარჭი/კლიპსი (დიდი)	30	ცალი	0,28	**8,40**	301971
30	ჭიკარტები , მეტალის , შეკვრაში 100 ცალი	20	შეკვრა	0,58	**11,60**	301971
31	სკოჩი (დიდი)	15	ცალი	1,72	**25,80**	323548
32	სკოჩი (პატარა)	15	ცალი	0,28	**4,20**	323548
33	მშრალიწებო PVP 20გ	15	ცალი	0,80	**12,00**	249100
34	საფოსტოკონვერტი (A 4 ზომა)	50	ცალი	0,16	**8,00**	301992
35	საფოსტოკონვერტი (A 5 ზომა)	50	ცალი	0,10	**5,00**	301992
36	სათლელი	5	ცალი	0,36	**1,80**	301921
37	საშლელი	15	ცალი	0,35	**5,25**	301921
38	სკრეპისაშუალო	50	ცალი	0,48	**24,00**	301972
39	მეტალისსაკანცელარიოურნა	10	შეკვრა	5,75	**57,50**	392243
40	დაფისსაწმენდიღრუბელი	15	ცალი	1,79	**26,85**	392243
41	კომპიუტერისეკრანისაწმენდისაშუალება	5	ცალი	5,15	**25,75**	398314
42	ელემენტიაააა	12	ცალი	0,85	**10,20**	314200
43	ელემენტიაა	12	ცალი	0,85	**10,20**	314200
44	ქაღალდისსაქაღალდებაფთიანი	15	ცალი	0,26	**3,90**	228520
45	ქაღალდისგამანადგურებელი 5 ფურცელი - CD/Card	1	ცალი	161,14	**161,14**	301914
46	დირაკოლი	2	ცალი	10,46	**20,92**	301973
	სულ				**1919,13**	

თეა ნიკოლაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თეიმურაზ ახობაძე
დირექტორი